საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-533

23/04/2021

ქ. თბილისი

„შპს „მ. ჯ. თ. ოილ კომპანი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 24 მარტის №207 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 29 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2006 წლის №51 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2006 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „მ. თ. ჯ. ოილ კომპანის“ 6 500 $მ^3$ ტევადობის ნავთობბაზის ფუნქციონირებაზე (ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარა) გაიცა №51 (01.03.2006) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2011 წელს აღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს სან ოილ ჯორჯია **„Sun Oil Georgia”**-ს. 2013 წელს შპს სან ოილ ჯორჯია **„Sun Oil Georgia”**-ს სახელის ცვლილების გამო ახალი სანებართვოს მოწმობა გაიცა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნავთობბაზის მოწყობა არ მომხდარა. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) „შპს „მ. ჯ. თ. ოილ კომპანი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 24 მარტის №207 ბრძანება“;

ბ) „შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“ გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 25 ოქტომბრის №ი-271 ბრძანება“;

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი